№ 166 მარიამობისთვე 6, კვირა 1889 მარიამობისთვე 6, კვირა № 166

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში ს. სახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

## რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, იქ, სადაც წინად მომრიგებელ-სასამართლოს მესამე განყოფილება იმყოფებოდა და ამ ჟამად ბ-ნ მრევლიშვილის პანსიონი იმყოფება.

ტფილისი, 5 მარიამობისთვე

ყოველთვის, როდესაც ჩვენის ქვეყნის რომელსამე საჭიროებაზედ ჩამოვარდება სჯა, ნიადაგ ერთი და იგივე პასუხი გვესმის: „საშუალება არსად არის... ყოველმა მხარემ თითონ უნდა შეინახოს თავის თავი, თითონ უნდა მოსძებნოს ისეთი წყარო, საიდამაც შეიძლებოდეს საჭირო ხარჯების შევსება რომლისამე ახალის საქმის დასაარსებლადაო“.

საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ეს დიად მართალი აზრია, მაგრამ როდესაც კავკასიაზედ არის ლაპარაკი, მაშინ ეს მოსაზრება სრულიად ჰკარგავს თავის მნიშვნელობას და მავნებელიც არის, არა თუ ჩვენის ქვეყნისათვის, არამედ მთელის სახელმწიფოს ინტერესებისათვის.

გონიერად და შეგნებულად ხარჯის გაწევა ბუნებით მდიდარ საქართველოსათვის მის დღეში დაკარგულად არ ჩაითვლება!

მართალია, ერთსა და ორს წელს ქვეყანა ვერ გადაუხდის მთავრობას მისაგან გაღებულს ხარჯს, მაგრამ რამდენისამე ათის წლის განმავლობაში ხაზინას ერთი-ორად დაუბრუნდება, რასაც დღეს ერსა და იმის ეკონომიურს წარმატებას მოანდომებს.

გასაოცარი ბევარა, რომელსაც დღეს რუსეთი იხდის ევროპის საქონლისთვის, სრულიად მოისპობოდა, რომ საქმე ისე ყოფილიყო დაყენებული კავკასიაში, როგორც ჩვენ ვფიქრობთ.

მართლა, აბა რა ბუნების სიმდიდრე აკლია ჩვენს ქვეყანას?!

რას დაასახელებთ ისეთს, რომ აქ არ იპოვებოდეს?

ამას თან დასძინეთ საქართველოს ბედნიერი მდებარეობა, რომელიც აერთებს ორს უდიდესს ქვეყნის ნაწილს — ევროპასა და აზიას, იმისი ჩინებული ბუნება და ჰაერი, და მაშინ ადვილად მიხვდებით, რომ ეს ქვეყანა საუკეთესო ადგილია ყოველ გვარის წარმოებისა და მრეწველობისათვის.

მარტო მადნისა და სამკურნალო წყლები და შეუდარებელი მშვენიერებითა და ჯან-მრთელობით საზაფხულო ადგილები რამდენს მილიონს შემოიტანდა, რომ წესიერად იყოს დამდგარი ეს საქმე?!.

საგანგებო და ღვთისგან დალოცვილი ბუნება საქართველოსი გულ-გადახსნილია ჩვენთვის და გვაწოდებს ყველაფერს, რაც-კი ადამიანის ბედნიერებისთვის საჭიროა. მაგრამ ყოველის მხრიდამ ერთი და იგივე მწუხარება, გაჭირვება, სიღარიბე და ჩივილი გვესმის...

რატომ არის ეს?

იმისთვის, რომ ჩვენს ქვეყანას დღეს-დღეობით საშუალება არა აქვს გამოიყენოს ყველა ის სიმდიდრე, რომელიც მისთვის ბუნებას მიუნიჭებია. იგი ვერ სარგებლობს ამ ნაირ ბედნიერ მდგომარეობით იმისთვის, რომ ხალხში არც ნივთიერი ღონისძიება არის და არც ცოდნა.

ჩვენ ვფიქრობთ, მართებლობა, თუ დღეს არა, ხვალ აღმოგვიჩენს დახმარებას ამ მხრივ. მით უფრო ვიმედოვნებთ ამ ნაირს ხელის გამოწვდას მთავრობისაგან, რომ, გარდა სარგებლობისა, არავითარი ზარალი ხაზინას აქ არ მოელის.

რასაკვირველია, ამისთანა შემთხვევაში მრავალი მქადაგებელი და მღაღადებელი გამოჩნდება სხვა-და-სხვა სოროდამ, რომელნიც მოინდომებენ ჩვენის საქმის ჩაფუშვას იმ მოსაზრებით, რომ „ყოველმა ქვეყანამ თავის თავი უნდა შეინახოსო“, მაგრამ არა გვგონია, რომ იმათ ვინმემ ყური ათხოვოს.

არა ვფიქრობთ ამას ორის მიზეზის გამო: ერთი ისა, რომ მხოლოდ ნივთიერადაც რომ გავარჩიოთ საგანი, მაშინაც აქ საზარალო არა იქნება-რა. მაგრამ ყოველს საგანს, გარდა ნივთიერის მხრისა, სხვა მრავალი მხარეცა აქვს.

მოკვლეობა, სამართლიანობა და პოლიტიკური მოსაზრება ხშირად ნივთიერად სავნებელ ხარჯსაც-კი გაამწევინებს მართებლობას.

განა სახელმწიფო ცხოვრებაში ერის უმაღლესი გონიერება და საჭიროება მიკიტნების ანგარიშებით ხელმძღვანელობს!?.

განა ყველაფერი ვერცხლით გაიზომება და ვერცხლით იშოვება?!.

ისპანიას, საფრანგეთსა და თვით ინგლისის მართებლობას ბევრად მომეტებული ეხარჯება თავის კოლონიებზედ — კუბაზედ, ალჟირზედ და ინდოეთზედ, — ვიდრე შემოსავალი აქვთ იქიდგან, მაგრამ ყველა ეს სახელმწიფო დიდად ეფერება და უვლის დასახელებულ ქვეყნებს.

ამ განათლებულ სახელმწიფოებს ათასი სხვა-და-სხვა მოსაზრება და გარემოება აიძულებს, რომ ამ ნაირად მოიქცნენ.

ზევით ჩვენა ვსთქვით, რომ იმედი გვაქვს, მართებლობა ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს ქვეყნის საჭიროებას და დახმარებას აღმოგვიჩენს-მეთქი. ჩვენ რომ ამაზედ შემცდარი არ უნდა ვიყოთ, გარეშე ყველა იმ მოსაზრებისა და საფუძვლისა, რომელიც წარმოვადგინეთ, ერთი უდიდესი და უნამდვილესი საბუთიცა გვაქვს.

თითონ ხელმწიფე იმპერატორმა უბრძანა საბადურში საქართველოს თავად-აზნაურობას, რომ დარწმუნდით, რაც-კი შესაძლებელი იქნება, ვეცდები თქვენი მდგომარეობა გავაუმჯობესოვო.

რასაკვირველია, ყველა ქართველს კარგად ესმის, თუ რამდენი იმედი და მოწყალება გამოიხატება ამ უმაღლესს სიტყვებში.

მართალია, ეს სიტყვები მიმართული იყო თავად-აზნაურობისადმი, მაგრამ რაკი ერთის წოდების ბედი შეიცვლება სასიკეთოდ, ეს წოდება განათლდება, გამდიდრდება და დაწინაურდება, ცხადია, ქვეყნის ცხოვრება ისე დახლართულია ერთმანეთში, რომ ამ შემთხვევაში ხალხიც არ იქნება გამორიცხული.

ჩვენ ოდესმე დავუბრუნდებით ამ საგანს და მოვიხსენებთ იმას, თუ რა ესაჭიროება დღევანდელს საქართველოს, რომ ისიც ღირსი შეიქნას ჩაირიცხოს დაწინაურებულ ერთა შორის და შეიტანოს კაცობრიობის საგანძურში მცირეოდენი თავისი წვლილი.

ალცესტი

## ახალი ამბავი

*** ამ თთვის 2 ახალი ეპისკოპოსი სუხუმისა ალექსანდრე წარსდგა მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის პალადის წინაშე.

*** ოთხშაბათს, 2 ამ თთვისას, თელეთიდგან მომავალა ვილაცა მაჰმადიანი. ამას კრწანისის ზემოდ, «ორ-

## ფელეტონი

### არაკი

(პასუხი)

განთიადისას ბულბული
მოსთქვამდა: „ოშავ დილაო!
ჩვენს ბაღში ვარდი გამწყვარა,
შამბნარი წამოზრდილაო;
დიდ-ყურიანი, კუდ-მოკლე
შიგ მხეცი შემოჭრილაო;
ყვავილებს სტკეპნის, ზედ გორავს,
ყროყინებს: „გრილა-გრილაო!“
პირ-დაღებული მებაღე
შეჰხარის: „რა ყოფილაო?
მაღალ ბანით და კრინებით
ბულბული გაწბილაო!“
მივიდა უთხრა ბულბულსა:
„ვეკრძალევი შენსა წყენასო,
მაგრამ მე რა ვქნა? დაბერდი,
აღარ გიქებენ სტვენასო.
ძირს გოგვას ველარ ახერხებ
და ზეით ალმა ფრენასო!
შენს ნაცვლად სხვა მგალობელი
მოუგზავნია ზენასო;
იბერება და პირს აღებს,
თითქოს აპირებს კბენასო,
კუდს მაღლა იღებს, თავს დაბლა,
ტკაველზე აგდებს ენასო;
თითონვე არის მედოლეც,
მით გვიორკეცებს ლხენასო!
ხმა-მაღალია: მთებს იქით
მგლებსაც უხიბლავს სმენასო,
და აწ გაფრინდი, ბულბულო,
არ გირჩევთ აქ დარჩენასო!“
ბულბულმა უთხრა: „ეგ სიტყვა
გულს ისარივით მეცაო;
ნაღველი უფრო გასივდა,
სიმწარემ იორკეცაო.
ბაღში რომ ბინა აღარ მაქვს,
ამას-კი ვხედავ მეცაო?..
დავსტოვებ: წაველ, საითაც
გზას დამინიშნავს ზეცაო.
ვინც რომ შენსავით ყრუ არის,
ჰკუა კოჭლი და ბეცაო,
მგალობლად ნუ მოუშალოს
ღმერთმა ეგ ვირი ქეცაო“.
ფრთები გაშალა, გაფრინდა
და ცხრა მთა გადაიარა,
თავისი გულის ტკივილი
მთა და ბარს გაუზიარა.

აკაკი

### ყარაბ-ოღლი

(ხალხური არაკი, გაგონილი მარტყოფელ ქალის მარიამ მანველიძისაგან და ჩაწერილი „ქართველი ოსებში“-ს მიერ).

იყო და არა იყო-რა, ღვთის უკეთესი რაღა იქნებოდა, იყო ერთი დიდებული უშვილ-ძირო ხელმწიფე, ხელმწიფე დღე და ღამე ღმერთს ევედრებოდა. ღმერთო, ერთი შვილი მომეციო. ამასობაში ხელმწიფე ძალიან მოხუცდა და ერთხელ ერთი მთხოვარა გლახა მივიდა ხელმწიფის სასახლეში. მთხოვარას მოწყალება მისცა ხელმწიფემ, შემდეგ შესჩივლა უშვილობა და უბძანა: ევედრე ღმერთს ჩემი გულისთვის, რომ შვილი მომეცესო. მთხოვარამ ანუგეშა და მოახსენა: ხელმწიფევ, ნუ სწუხარ უშვილობას, ამა-და-ამ ბაღში შენი მსახური გაგზავნე, იმ ბაღში ერთი ლეღვი სდგას, იმ ლეღვის ხიდგან ორი ლეღვი მოგლიჯოს და მოიტანოს, ლეღვი ერთი შენ შეჭამე და მეორე შენმა ცოლმა და ცხრა თთვის შემდეგ შვილი გაგიჩნდებათო. მართლაც, ხელმწიფემ გაგზავნა მსახური ბაღში. მსახურმა ბაღიდგან ორი ლეღვი მოგლიჯა და წამოიღო, იარა, იარა და მიადგა ერთ წყალს. წყალზედ გადმოხტა თუ არა, ერთი ლეღვი წამოვარდა უბიდგან, წყალში ჩაუვარდა და ველარ დაიჭირა. დაღონებულმა მსახურმა წამოიღო მეორე ლეღვი, რადგან როგორც გლახამ ასწავლათ, მეორედ უკან გაბრუნება აღარ შეიძლებოდა. ადგა ხელმწიფემ და მარტო ცოლს შეაჭამა ის მეორე ლეღვი. მართლაც მალე დაორსულდა დედოფალი და ცხრა თთვის შემდეგ გაუჩნდა ვაჟი, რომელსაც სახელად დაარქვეს ალექსანდრე.

მეორე წყალში ჩავარდნილი ლეღვიც იმ დროს, როცა წყალზედ კოკას ავსებდა, იპოვნა ერთმა გასათხოვარმა ქალმა, ლეღვი მოეწონა, აიღო, შეჭამა და ისიც დაორსულდა. რასაკვირველია, ძმებმა ორსულობა რომ შეამჩნიეს დას, ადგნენ და გააგდეს. ქალმა ცალკე დაიწყო ცხოვრება და ცხრა თთვის შემდეგ იმასაც გაუჩნდა ვაჟი, რომელსაც სახელად დაარქვა ყარაბ-ოღლი. ყარაბ-ოღლი რამდენიც მოიზარდა, იმდენი დაიწყო თავის ტოლებთან თამაშობა, მაგრამ ერთი ბეწო რო გაეჯავრებინა თავის ტოლ-ამხანაგები, მაშინვე წამოსძახებდნენ ხოლმე: „წადი შე ნაბიჭვაროვო“. დაღონებული ერთ დღეს, შევიდა ყარაბ-ოღლი დედასთან და უთხრა: დედი, ძუძუ მინდაო. დედამ უთხრა, რაღა დროს შენი ძუძუა, შვილო... შვილი მაინც არ მოეშვა და ადგა და ჩაუდო ძუძუ პირში. ყარაბ-ოღლიმ ძუძუზედ კბილი მოუჭირა დედას და უთხრა: მითხარი, მამაჩემი ვინ არის, თორემ არ გაგიშვებო. დედამ მიუგო: ღმერთია, შვილო, შენი მამაო. მაინც არ მოეშვა და მაშინ დაარწმუნა დედამ, რომ წყალში ლეღვი დავიჭირე, შევჭამე და იმითი დავორსულდიო. შემდეგ-კი თავი დაანება ყარაბ-ოღლიმ დედას.

ყარაბ-ოღლი რომ დავაჟკაცდა, რასაკვირველია, თავისთვის მშვილდ-ისარი შეუკვეთა მჭედელს და მჭედელმაც გაუკეთა. ყარაბ-ოღლი მივიდა მჭედელთან, ნახა მშვილდ-ისარი, არ მოეწონა, აიღო, მოსწია და მიამტვრია. მეორედ გაუკეთეს და მეორედაც მიამტვრია, მხოლოდ მესამედ-კი მოიწონა. ყარაბ-ოღლი მშვილდ-ისრით დადიოდა და ნადირობდა ხოლმე. ერთ დღეს ხელმწიფის შვილი ალექსანდრე წავიდა სანადიროდ თავისის მამის სანადირო მთაში. ამ დღესვე წავიდა ყარაბ-ოღლიც სანადიროდ იმავე მთაში. ნადირობის დროს შეხვდა ალექსანდრე ყარაბ-ოღლის და ძრიელ გაუწყრა: როგორ გაბედე მამიჩემის ტყეში ნადირობაო, მაგრამ ალექსანდრემ ახედ-ჩახედა ყარაბ-ოღლის, მოეწონა იმისი შეხედულობა და ვაჟკაცობა ადგა და ისევ დაუტკბა და ძმობა უთხრა. საღამოზე ალექსანდრე შინ რო დაბრუნდა, დედ-მამას უამბო, ისეთი მშვენიერი ვაჟკაცი ვნახე ნადირობის დროს ჩვენს ტყეში და ისე ძლიერ მომეწონა, რომ აღარა ვუთხარი-რა, ძმად გავეფიცეო. ალექსანდრეს, რადგანაც ერთად-ერთი შვილი იყო დედ-მამისა, აღარ აწყენინეს და უთხრეს: რაკი მოგეწონა, აბა ერთი მოიყვანე ჩვენც გვაჩვენეო, შვილო. მეორე დღეს ალექსანდრე ისევ სანადიროდ წავიდა და შინ რომ დაბრუნდა საღამოთი, ყარაბ-ოღლიც თან წამოიყვანა. ყარაბ-ოღლის ალექსანდრეს დედ-მამამ გამოჰკითხეს, ვისი შვილი ხარო. ყარაბ-ოღლიმ სიმართლით მიუგო: მე მარტო დედა მყავს და მამა არა მყოლიაო. დედაჩემი მარწმუნებს, ამა-და ამ დროს წყალში ლეღვი ვიპოვე, შევჭამე და იქიდგან გაჩნდიო. ხელმწიფემ მოისმინა თუ არა ყარაბ ოღლის სიტყვები, მოეხვია და დაჰ-

სულ კლდესთან» დახვედრია ოთხი ავაზაკი, რომელთაც გაძარცვა მოუნდომნიათ. მაჰმადიანმა წინააღმდეგობა გაუწია ავაზაკებს და ამიტომ ერთმა ავაზაკმა ამხანაგებს ურჩია ამ მაჰმადიანის მოკვლა. მაჰმადიანმა იცნო ეს ავაზაკი და სახელი დაუძახა. შეშინებული ავაზაკი გაიქცა და დაიმალა. დანარჩენმა სამმა-კი გაძარცვეს მაჰმადიანი, ამოაცალეს ქარქაშიდგან ხანჯალი და დასჭრეს მარცხენა ფერდსა და ხელში. მაჰმადიანი დაეცა იმავე ალაგს და წაუვიდა გული. როდესაც მაჰმადიანი მობრუნდა და წამოდგა ფეხზე, იქ აღარც ერთი ავაზაკი აღარ იყო თურმე. სისხლ-დაცლილი მაჰმადიანი ვაისა და ვაგლახით ჩამოვიდა სოფ. კრწანისში და აქ ერთს მებაღეს გამოართო ფალასები, რომლითაც შეიკრა იარები და წამოვიდა ტფილისს.

*** ამას წინად ჩვენს გაზეთში ნაამბობი იყო ოინები ახალ გვარის ქურდებისა, რომელნიც ჰკრეფავენ ქირებს სხვის ქარვასლებისა და სახლებისა', თითქო თავიანთი საკუთრება იყოსო. ეხლა-ხან პოლიციამ შეიპყრო ერთი რაინდი, რომელიც უფრო ახალსა და უცნაურს ოინებს სჩადიოდა მოყვასთა ჯიბის გასათხელებლად. ეს რაინდი არის ვიღაც ნერსესოვი, რომელიც თურმე კარგა ხანია ხელოვნურად ჰქურდავდა სახლებს და გაეზიდებოდა ყოველ გვარ ავეჯეულობას, რაც-კი ხელთ მოხვდებოდა. თურმე ჯერ უთვალთვალებდა რომელსამე ოჯახს, გაიგებდა, რა დროსა ჰკეტენ სახლს, რამდენის ხნით მიდიან სადმე და ან ვის ანაბარასა სტოვებენ თავიანთს ავსა და კარგსაო. შემდეგ მოიმიზეზებდა რასმე და მივიდოდა ოჯახში, ვითომ და საქმისთვის. დაათვალიერებდა ყველაფერს, დაუმეგობრდებოდა მოსამსახურეთ, წასვლის დროს ან ოთახის გასაღებს მოიპარავდა ოსტატურად, ან იმის ყალიბს შეიტყობდა ცოტა ხნის უკან გაზიდავდა სახლიდამ ავეჯეულობას და იმისი მპოვნელი აღარავინ იყო. ამას წინად ბ-ნ პროკოპოვიჩს გაზეთში გამოეცხადებინა, რომ ნივთეულობასა ვყიდი ჩემს სადგომშიო. ნერსესოვი შესულიყო როგორც მუშტარი და დიდხანს ევაჭრნა, ყველაფერი გაესინჯა, მორიგებოდა ფასებში და წასულიყო. თანაც გაეგო, რომ პროკოპოვიჩი სოფელში მიდის მეორე დღესაო. მეორე დღეს, თორმეტ საათზე, ნერსესოვს მოეტანა გასაღები, შესულიყო პროკოპოვიჩისას, გამოეზიდნა ნივთები, დაეწყო ეტლზე, წასულიყო და კარიც გამოეკეტნა. იმავ დღეს ნერსესოვს ეს ნივთები ზოგი ჩაეგირავებინა და ზოგიც გაეყიდნა მაღაზიებში. ნაზაროვის სავაჭრო სახლში მიეგნოთ დაგირავებულ ნივთებისათვის. დამგირავებელს სხვისი გვარი ჩაეწერინებინა — ტერ-დავიდოვი. პოლიცია მოურავლედ შეუდგა ძებნას ტერ-დავიდოვისას, მაგრამ, რასაკვირველია, არც ერთი ტერ-დავიდოვი არ გამოდგარა იმ კაცად, რომელსაც დაეგირავებინა ნაზაროვთან პროკოპოვიჩის ნივთები. ნაზაროვის თანაშემწეს დაჰხსომებოდა სახე ამ რაინდისა და მხოლოდ შემთხვევით შეჰხვედროდა ქუჩაში. მოტყუებით შეეყვანა ნაზაროვის სახლში. იქიდამ ეცნობებინათ პოლიციისათვის და გაებათ ეს რაინდი. საქმე გადასცეს გამომძიებელს ბ-ნ ბალდასაროვს. იგი მკაცრად შესდგომოდა გარემოების გამოკვლევას და მცირე ხანში ბ-ნ ბალდასაროვს აღმოეჩინა სხვა-და-სხვა ოთახი, სადაცა ჰქონოდა ბინა ნერსესოვს, და იმ ოთახებში ეპოვნა არა თუ მარტო პროკოპოვიჩის ნივთები, არამედ თავ. ბეგთაბეგოვისა და სხვებისაც, რომელნიც გაექურდნა ამ ვაჟბატონს. 4 აგვისტოს კუკიაში, ანდრიას ქუჩაზედ, გაალო ბ-ნმა ბალდასაროვმა ერთი დაკეტილი ოთახი, რომელიც სჭეროდა ნერსესოვს. ოთახის პატრონისთვის ნერსესოვს ეთქვა, რომ ტერ-დავიდოვი ვარო. მოსვლისას ბევრი ნივთი მოეტანა ამ სახლში ნერსესოვს, ორის დღის შემდეგ წასულიყო ცარიელი, დაეკეტნა ოთახი და აღარ გამოცხადებულიყო თავის სადგომში. მაგრამ იქ მაინც არა აღმოჩნდა-რა გარდა ერთის ცარიელის ზამბილისა და ქაღალდებში გახვეულის ქვებისა. ჰფიქრობენ, რომ ალბათ ყველაფერი ღამით გაზიდაო, ქირა არა მიეცა-რა სახლის პატრონისთვის და ისე გაპარულიყო.

*** სოფ. შილდა (კახეთი): 20 მკათათვისას, ილიაობა დღეს, ყვარლიდგან ამოვიდა აქ მამა ბლაღოჩინი, რათა შილდელებისათვისაც აეხსნა მნიშვნელობა საეკკლესიო-სამრევლო სამზრუნველოსი. წირვის შემდეგ ჯვარ-პატიოსნის ეკკლესიის მოედანზე ბლაღოჩინმა აუხსნა ხალხს სამრევლო სამზრუნველოს აზრი და მნიშვნელობა და უთხრა ამოერჩიათ სამი კარგი ღვთის-მოყვარე და პატიოსანი კაცი, რომელნიც იქმნებიანო მნათეებად სამს ეკკლესიაში (შილდა სამ შტოდ არის განაწილებული). ეს რომ გაიგონა ხალხმა, ასტეხა ფრიად საყურადღებო ლაპარაკი. ხალხმა წარმოსთქვა, თუ რა ბოლმა აწუხებდა საზოგადოდ სოფლელებს. წამოდგა ერთი კაცი და მკაფიოდ და გულიანად წარმოსთქვა: „სადა გვყავს ჩვენ კაი, პატიოსანი კაცები? შილდა მიტოა დალუპული, რომ უხეირო კაცების ხელშია ჩავარდნილი. ვისზედაც იმედი გაქვს, რომ სოფლისათვის იზრუნავს, ერთის წლის უკან ის ყველაზე უარესი დგება“. აქ მამასახლისმა შეუტია: კაცო, რასა ჰჯავრობ, ვინც შენ გინდოდეს, ის ამოირჩიეო. „კაცო-და ჩვენი უბედურება აი ეგ არი, რომ ერთი არავინ არი სანდობი, იმედიანი კაცი, რომ ვთქვა: ეს ამოვირჩიოთ, ბოლომდე კარგად მოგვივლისო“. ამ ლაპარაკში გაიარა მთელმა საათმა. შემდეგ რათა საქმე ჩქარა გათავებულიყო, ბლაღოჩინმა უბძანა ყველას, მღვდლებსაცა და ხალხსაც, ერთად ამოერჩიათ სამზრუნველო. მღვდლები ირჩევდნენ და ხალხს თანხმობას ჰკითხავდნენ. ხალხს უარი ერთხელაც არ უთქვამს, სულ თანახმა ხდებოდა მღვდლების არჩევანისა. ასე და ამ რიგად ამოარჩიეს სამი მნათე და სამზრუნველო, რომელთაც თვალ-ყური უნდა ეჭიროთ ეკკლესიის შემოსავალ-გასავალზედ, სანთლის გაყიდვაზედ, ეკკლესიის გამშვენებაზედ, ეკკლესიის ეზოს სისუფთავეზე და სხვანი და სხვანი. მარხვის დამრღვეველს ჯარიმას გამოართმევენ. ამ ჯარიმის მესამედი სამზრუნველოს წევრებს მიეცემა და ორი წილიც ეკკლესიას.

*** იქიდამვე: ერთი კიდევ სხვა ბოლმა აქვს შილდას. ამ სოფელს დასავლეთით ჩამოუდის მდ. ჩელთო, რომელმაც გაზაფხულსა და შემოდგომაზე ადიდება იცის. ისე წელიწადი არ გავა, რომ შილდის დასავლეთით ჩელთომ ორი საქცევი მიწა არ ჩამოაცალოს მთელს სიგრძეზე. ჩელთის პირას სცხოვრობს ერთი ღარიბი თავადიშვილი ვ. სახლი აქვს, პატარა ბაღი, მაგრამ ორი-სამის წლის უკან სულ ყველაფერს უნდა გამოეთხოვოს. ბაღი ნახევარზე მეტი ჩაუტანია ჩელთს და საცა არის, სახლამდეც მიახწევს. საბრალო თავადი ეხვეწება ცალკე სოფელს, ცალკე მაზრის უფროსს: საზოგადო, საერთო ძალ-ღონით შევიმაგროთო ჩელთო, მაგრამ ვერას გამხდარა თხოვნით და აი წელს უნდა აიყაროს, ხელი აიღოს მოწყობილს სახლ-კარზე და გადასახლდეს სხვაგან სადმე.

*** სოფ. ნული (გორის მაზრა): ამას წინად ამ სოფლის მებატონეებს, თავ. ბაგრატიონ-დავითაშვილებსა და თავ. ამირაჯიბებს, მიეცათ მთის ოსებისათვის გასაჩეხად ტყეები, რადგანაც ამ საქმეში, ოსები ძალიან დახელოვნებულები არიან. ამავე სოფლის მცხოვრებლებს ეთხოვნათ მებატონეებისათვის, რომ ტყის გაჩეხვა ჩვენვე დაგვითმეთ იმავე პირობით, რა პირობითაც ოსებს აძლევთო, მაგრამ მებატონეები არ დათანხმებულან და ოსები შეუშვიათ. მაშინ სოფელს პირი შეუკრავს და გადაუწყვეტია, რომ ოსები არ შემოუშვათო. როცა ოსები შეუდგნენ და დაიწყეს ტყის ჩეხვა მაშინათვე გლეხებმა გამოუცხადეს, რომ თავი დაენებებინათ. ამაზე ოსები არ დასთანხმდნენ. გაიმართა კეტების ტრიალი და რამდენიმე კაცი დაშავდა.

*** გაზ. „ყარსი“ ამბობს, რომ სამხედრო გუბერნატორმა ყარსის ოლქისამ ბაღდადში მყოფ რუსეთის ელჩისაგან მიიღო დეპეშა, რომლითაც იგი იცნობება, რომ ხოლერამ იჩინა თავი ბასორასა, ნასრიეს და შატრშიო. ეს ამბავი დეპეშითვე ეცნობა კავკასიის მთავარ-მართებელს, რათა მოელაპარაკოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამ კარანტინის დასაწესებლადაო.

*** ამ თვის 3-ს, პირველს განყოფილებაში, „კალიუჩი ბალკაზე“ სამსახურიდგან გადამდგარ ჯარის-კაცის ივანე ვასილიევის სახლიდგან, როცა პატრონი შინ არ ყოფილა, ვიღაცას მოუპარავს ფული და ნივთები, სულ 192 მანეთისა. ეჭვი აიღეს ახალგაზდა ქალზე, ალექსანდრა გავრილოვისაზე, რომელიც ამავე სახლში იდგა. გამოძიება სწარმოებს.

*** მეოთხე განყოფილებაში, 4-ს ამ თვისას, საათფთიაქო მაღაზიიდგან მოუპარავთ საპონი 2 მანეთისა და 25 კაპეიკისა დამნაშავე სპარსეთის ქვეშევრდომი ბალი-ბეკ-მაჰმად-ხანოვი დაიჭირეს და გადასცეს სასამართლოს.

*** იმავე დღეს, მესამე განყოფილებაში, ტფილისის მაზრის სოფ. ზევრეშელის მცხოვრები მოსე ცატურაშვილი ცხენით მოდიოდა და გაუფრთხილებლობით დააშავა წყნეთის მცხოვრები ყმაწვილი არშაკ ოსიპოვი. ბავშვი საავადმყოფოში გაგზავნეს. გამოძიება სწარმოებს.

—

შეცდომის გასწორება. გუშინდელს

---

კაცნა, — შენც ჩემი შვილი ყოფილხარ, შვილოვო. ის ლეღვი ჩემთვის მოჰქონდათ და წყალში ჩავარდნოდა ჩემს მსახურსაო. წადი, შვილო, დედაშენიც მოიყვანე და აქ იცხოვრეთ, შენ და ჩემი ალექსანდრე ძმები ყოფილხართო. მართლაც ყარაბ-ოღლიმ თავისი დედაც იქ მიიყვანა და დაიწყო ცხოვრება ალექსანდრესთან.

ერთ დღეს ხელმწიფის სასახლის წინ თამაშობდნენ მშვილდ-ისარით ალექსანდრე და ყარაბ-ოღლი. ჩამოიარა წყალზედ კოკით ბებერმა დედაკაცმა. ალექსანდრემ სტყორცნა ისარი და გაუტეხა კოკა ბებერს. ბებერს, რა ეწყინა, მიუბრუნდა ალექსანდრეს და უთხრა: „შვილო, დაგწყევლო, როგორ დაგწყევლო, დედის ერთა ხარ, და ამას-კი გეტყვი, შენამც ჩაგვარდნია ცხრა ძმა დევთა დის სიყვარულიო“. ყარაბ-ოღლიმ ბებრის სიტყვას ყური არ უგდო და ვერ გაიგონა. მართლაც, რამდენიც დრო და ხანი გადიოდა, იმდენი ალექსანდრე ხმებოდა და თანდათან ყვითლდებოდა. ყარაბ-ოღლიმ რომ შეატყო ეს, უთხრა: ძმაო ალექსანდრე, რა ამბავია შენს თავს, რატომ არ მეტყვი, იქნება მე გეჯავრები და იმიტომ ჰლონობ და ხმას აღარა მცემო? ალექსანდრემ უპასუხა: გახსოვს, ძმაო ყარაბ-ოღლი, ერთხელ ბებერს რომ კოკა გაუტეხეთ, მაშინ ბებერმა ამ ნაირი სიტყვები მითხრა და მას აქეთ ასე ვარო. მაგაზედ რას დაღონებულხარ, ოღონდ შენ ნუ დაღონდები და კარგად იყავი და შენი ძმა ყარაბ-ოღლი მოგიკვდეს, თუ ის ქალი ცოლად არ დაგისვიო. მართლაც, ორივემ მშვილდისრები აიღეს, ადგნენ და დედ-მამას ვადა დაუნიშნეს, ამ ვადაზედ მოვალთო, და გაუდგნენ გზას.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, მივიდნენ დევების სახლთან. მდევები ცხრა ძმანივე სანადიროდ იყვნენ წასულნი, მხოლოდ იმათი და დაუხვდათ შინ. ქალმა დაინახა თუ არა ყმაწვილები, შეიყვანა შინ და ჰკითხა: სამტროდ მოსულხართ, თუ სამოყვროდაო. ყარაბ-ოღლიმ მიუგო, სამტროდ რა გვინდოდა, — სამოყვროდაო. მაშინ ადგა, ორივე ძმა დამალა ქალმა და უთხრა: საღამოზე ჩემი ძმები მოვლენ, გაიგებენ თქვენს აქ ყოფნას, რომ გნახავენ, ჩემს საქმროს ალექსანდრეს მოუტანენ სანთლის ცულს და რკინის კუნძს დასაჭრელად და აი ეს ჩემი თმის ბეწვი. გამოიძრო თმიდგან და მისცა ალექსანდრეს. ცულს მოუსვამ, რკინად იქცევა და კუნძს მოუსვამ სანთლადაო.

საღამოზედ მოვიდნენ ცხრა ძმანი დევები და შევიდნენ თუ არა შინ, უთხრეს: „ადამის სული მოგვდისო“. დამ ჯერ-კი დაუფიცა და მერე, რომ აღარ მოეშვნენ ძმები, უთხრა: თუ არას დაუშავებთ, გამოგიჩენთ ვინც არიანო, და თუ დაუშავებთ, არაო. მერე გამოაჩინა ქალმა ალექსანდრე და ყარაბ-ოღლი. დევებმა ჰკითხეს: სამტროდ მოსულხართ თუ სამოყვროდაო? ყარაბ-ოღლიმ უპასუხა, სამტროდ რა ხელი გვაქვს, — სამოყვროდაო. დევებმა მიუტანეს ალექსანდრეს სანთლის ცული და რკინის კუნძი და უთხრეს: ეს კუნძი დასჭერი და მოგცემთ დასაო. ალექსანდრემ ამოიღო ქალის თმის ბეწვი, გაუსვ-გამოუსვა და კუნძი სანთლად იქცა და ცული რკინად. დაუშინა და ლუკმა-ლუკმად აქცია კუნძი. დევებს ძალიან გაუკვირდათ და გაეხარდათ, რომ ესეთი კაი სასიძო იშოვნეს. მეორე დღეს დევები ისევ სანადიროდ წავიდნენ, ყარაბ-ოღლიც თან წაიყვანეს და ალექსანდრე შინ დასტოვეს. ამ ცხრა ძმა დევებს ცხრა ოთახი ჰქონდათ ცხრა კლიტით დაკეტილი. ქალმა ალექსანდრეს გაუღო რვა ოთახი და დაატარა და მეცხრე-კი აღარ გაუღო. ალექსანდრემ სთხოვა ქალს, რომ ეგ მეცხრე ოთახის კარიც გამიღე და მაჩვენეო. ქალმა უარი უთხრა და მიუგო, ნუ გამაღებინებ, თორემ შენც ინანებ და მეცაო. მაინც არ მოეშვა ალექსანდრე და გააღებინა მეცხრე ოთახის კარებიც. კარები გააღეს თუ არა, გამოვარდა იქიდგან ცხრა თავიანი დევი, რომელიც ქალის ძმებსა ჰყვანდათ დამწყვდეული, წაავლო ხელი ალექსანდრეს, მოუგრიხა კისერი, მოიქნია და ჰერში სთხლიშა ცოცხალ-მკვდარი, თითონ მოიტაცა ქალი და გაიქცა. საღამოზედ მოვიდნენ დევებიც და ყარაბ-ოღლიც. ნახეს, რომ ალექსანდრე ცოცხალ-მკვდარი დევს, ცხრავე ოთახის კარები ღიაა და აღარც ცხრა-თავიანი დევია და აღარც იმათი და. ამაზედ დევებმა ალექსანდრეს შეჭმა დაუპირეს, ჩვენი და ამ ოთახს არ გააღებდა, თუ მაგან არ გააღებინა ძალადაო, მაგისი ბრალია ჩვენის დის მოტაცებაო. ყარაბ-ოღლი შეეხვეწა დევებს: ოღონდაც ნუ შემიჭამთ ძმას და ვადა მომეცით, თუ იმ ვადაზედ თქვენი და ვერ მოგიყვანეთ, მაშინ რაც გინდათ, ის უყავით ჩემს ძმასაო. დევებიც დაჰყაბულდნენ.

აიღო ყარაბ-ოღლიმ შვილდისარი, ახსენა ღმერთი და გაუდგა გზას ქალის საძებნელად. იარა, იარა და შეჰხვდა მეწისქვილე. მეწისქვილეს ფეხებზედ წისქვილის ქვები ება, თან დადიოდა და თანა ჰფქვავდა.

ყარაბ-ოღლიმ ჰკითხა:

— კაცო, რა ხარ, რა კაცი ხარ ეგეთიო.

— ჰაი, მე რა კაცი ვარო, მიუგო მეწისქვილემ: კაცი ყარაბ-ოღლია, რომ თავისი ძმა ალექსანდრეს ცხრა ძმა დევის და უთხოვა ცოლადაო.

— მაშ ყარაბ-ოღლი მე ვარ და დავძმობილდეთო. მეწისქვილეც ყაბულს გახდა და დაძმობილდნენ. გასწიეს და გაუდგნენ გზას.

იარეს, იარეს და შემოხვდათ ტერტერა. ტერტერას საყდარი ზურგზედ ეკიდა და მიდიოდა.

ყარაბ-ოღლიმ ჰკითხა:

— ტერტერ, რა კაცი ხარ ეგეთი, რომ საყდარი ზურგზედ გკიდია და მიგაქვსო.

ტერტერამ მიუგო:

— მთავარობ, შვილოვო, ბარში დაცხა და ახლა მთაში მიმაქვსო. ეს არაფერი, მე რა კაცობა მეთქმის, კაცი ყარაბ-ოღლია, რომ თავის ძმა ალექსანდრეს ცხრა ძმა დევის და შერთო ცოლადაო.

— მაშ ყარაბ-ოღლი მე ვარო და მოდი დავძმობილდეთო. ტერტერაც ყაბულს გახდა და დაძმობილდნენ. ადგნენ და სამნივე გაუდგნენ გზას.

ყარაბ ოღლიმ უთხრა: ძმებო, რაკი დავძმობილდით, მოდით და დავიფიცოთ, რომ ერთმანეთს არ ვუღალატოთო. მართლაც და დაიფიცნენ და შემდეგ იარეს, იარეს და ბინა დასცეს იმ ალაგას, საცა ქალი ეგულებოდა ყარაბ-ოღლის. რომ დაბინავდნენ, პირველ დღეს ყარაბ-ოღლი და ტერტერა სანადიროდ წავიდნენ და მეწისქვილე ბინაზედ გაუშვეს სადილის მოსამზადებლად.

მეწისქვილემ რომ მოამზადა სადილი, ამ დროს იქვე ახლო ორმოდგან ამოიხედა ცხრა თავიანმა დევმა და შემოუძახა მეწისქვილეს. შენ ეი, ეგ საჭმელი მოიტანე, აქ ჩამომასხი თორემ, თუ ამოვედი, შენც შეგჭამდა მაგ საჭმელსაცაო.

ფელეტონში, მეოთხე სვეტის მეთერთმეტე სტრიქონში, შეცდომით სწერია:

„აწ უკვე დეპუტატად მყოფ პატივცემულ მ. თათუზოვის წინადადებით“.

უნდა იყოს:

„დეპუტატად ნამყოფ პატივცემულ მ. თათუზოვის წინადადებით“ და სხ...

---

## მოგზაურობა მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის პალადისა მარტყოფში.

დღეს, 25 მკათათვეს, ხანგრძლივ მოლოდინს შემდეგ მარტყოფელები ეღირსენით მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის პალლადის მობრძანებას.

წინა დღითვე მარტყოფლები შეუდგნენ მზადებას მის მეუფების მისაღებად. მარტყოფის ახალმა მამასახლისმა ბ-ნმა ნ. ბერიშვილმა გამოუცხადა სოფელს, რომ, ვისაც-კი უნდოდა ეგზარხოსის მიგებება, მზადა ყოფილიყვნენ.

ამ დღეს დილით გაემგზავრნენ სოფლის ბოლოს მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის მისაგებებლად: ბლალოჩინი მ. პ. ებიტოვი, სოფლის მამასახლისი ნ. ბერიშვილი და ორმოცამდე ცხენოსანი სოფლელი.

დილის ექვს საათიდგანვე დაიწყო ხალხმა დენა მარტყოფის ტაძართან. მშვენიერს სანახავს წარმოადგენდა ამ დროს ტაძრის ფართო გალავანი, აჭრელებული ათას ფრად ქალების ტანსაცმელით. გლეხები ჯგუფ ჯგუფად შეგროვილიყვნენ.

საათის პირველი იქნებოდა, რომ გაისმოდა ზარების რეკვა, ნიშანი მობრძანებისა მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობისა. სოფლის ბოლოს საქალაქო გზაზე გამოჩნდა მომავალი ეგზარხოსის ეტლი გარ-შემორტყმული მრავალის ცხენოსანით.

ტაძრის კარებში ეგზარხოსს მიეგება მარტყოფის სამღვდელოება. აქ მღვდელმა მ. ქ. ბექანოვმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გამოხატა სიხარული მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის მობრძანების გამო და ისურვა, რომ მისი მობრძანება საკეთილო და სახეირო ყოფილიყო მარტყოფის სამღვდელოებისათვის. ტაძარში გადახდილ იქმნა პარაკლისი, რომელზედაც მშვენიერად გალობდა ქართული ხორო მარტყოფის მამასახლისის ნ. ბერიშვილის ლოტბარობით. პარაკლისს შემდეგ მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ ლოცვა-კურთხევით მიჰმართა ხალხს და ისურვა მათთვის მშვიდობა და სიკეთე ყოველს საქმეში, რომ ყოველი მათი შრომა ღირსეულად დაგვირგვინებული ყო. შემდეგ ეგზარხოსმა თითოეულად აკურთხა ტაძარში მყოფი ხალხი და ზოგს მათგანს დაურიგა ქართული წიგნაკები და ჯვრები.

შემდეგ ეგზარხოსი წაბრძანდა სამების ეკკლესია'ში, აქედგან — მთავარანგელოზისაში და ბოლოს გაემგზავრა სოფ. ნორიოსკენ, ხოლო აქედგან მარტყოფის წმ. მამა ანტონის მონასტერში, თავის საზაფხულო სადგომში, სადამდისაც მიაცილეს მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა მ. ბლალოჩინმა, მარტყოფის მამასახლისმა და მარტყოფელებმავე ცხენოსნებმა.

გ. ა—ძე

---

## უცხოეთი

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. პოლიტიკაში ისეთი სიბნელე და წყვდიადია, რომ თითი თვალში წაატაკო ვისმე, ვერავინ ვერას დაინახავს. რუსებისა არ იყოს, ამ წყდიადში თვით ეშმაკიც ფეხს მოიტეხს. ბოროტის ენის კაცები ამბობენ, რომ სულ ბისმარკის ბრალია, იმან ჩამოაბნელა ასე, იმან აწეწ-დაწეწა და არია ევროპის საპოლიტიკო საქმენიო. ზოგნი უკადრისსაც აკადრებენ ხოლმე უხუცესს კანცლერს: მაგ ვარცინელ ბებრუცუნამ შეიყვანა ქვეყანა აუარებელს ხარჯში, ეგ უხეთქავს ყველას გულს, ეგა სწყვეტავს ქვეყანას წელს შეთოფ-იარაღების ზიდვითაო. ეგ კუდიანი რომ არ იყოს, ვარცინში არ იჯდეს ბებერ ობობასავით და არ აბამდეს ქსელებს პოლიტიკის ასაწეწ-დასაწეწად, ევროპის საქმე აქამდე ასის წლით წინ იქნებოდაო. მაგრამ ვარცინის უხუცესს თავისი მომხრე და თაყვანის-მცემელნიცა ჰყავს. ესენი ამტკიცებენ, რომ ბისმარკის მოქმედება დიდი საკაცთმოყვარეო მოქმედებაა. მაგ ყოვლად ძლიერისა და ჭკვიანის კაცის წყალობით არის, რომ ევროპაში აგერ ოცი წელიწადია თითქმის თოფი არ გავარდნილაო. ბისმარკის უნარია, რომ ევროპა ორჯელ და სამჯერ არ მოირწყო უბრალო სისხლით ამ ხნის განმავლობაშიო. უმაგისოდ აქამდე, ვინ იცის, ვინ ვის დაეტაკებოდა, ვინ ვის რა საქმეს დააწევდაო. ასე ლაპარაკობენ ბისმარკის მტერნი და მოყვარენი, ისინიც, ვინც დღევანდელს დღესა და ყოფას უჩივის და ისინიც, ვისაც დღევანდელი გაურკვეველი ყოფა ისე მოსწონთ, რომ კმაყოფილებით ხელებს იფშვნეტენ. რომელნი არიან იმათში მართალნი? უფრო არც ერთნი. ბისმარკიც ცოტაოდენის მეტ-ნაკლებობით ისეთივე მორჩილი მონა და ყმა არის დღევანდელის წესწყობილებისა და ვითარებისა, როგორც ყველა სხვა სიკვდილის შვილი. ბისმარკს მარტო თავისით არა შეუძლიან-რა: ვერც იმას შეუშლის ხელს, რაც მოსავალია, და ვერც იმას მოახდენს, რაც მოსასვლელი არ არის. მცირე ხანს, დროებით იქნება მოახერხოს ერთიცა და მეორეც, მაგრამ დიდის ხნით-კი ვერ შეიძლებს. ამის ძალა ერთს კაცს არა აქვს. აილოთ თუნდ დღევანდელი ყოფა ევროპისა. რა უნდა დღეს ბისმარკს ევროპისაგან? ბისმარკს უნდა, რომ ხელი არავინ ახლოს იმის განდიდებულსა და გავრცელებულს სამშობლოს, იმის ფატერლანდს. უნდა პირველობა, უფროსობა, ბატონობა ევროპის დიდთა სახელმწიფოთა კონცერტში. ამ კონცერტში იმას ზანს არ აძლევენ საფრანგეთი და რუსეთი. ბისმარკი უფრთხის ამ ორს სახელმწიფოს და რადგან ვერაფრით ვერ შეუშინებია, ვერაფრით ვერ ჩაუჩუმებია, ძალით უნდა შეაშინოს და ჩააჩუმოს. ძალა-კი თავად არ ახლავს მაგდენი, ამიტომ იმეგობრებს სხვა სახელმწიფოებს ავსტრი-ვენგრიას, იტალიას, და დღეს კიდევ ცდილობს ინგლისი და ოსმალეთიც თავისკენ იყოლიოს. ბისმარკის შთაგონებით სულდგმული გაზეთებიც არა ჰმალავენ, რომ იმპერატორ ვილჰელმის ყოფნას ინგლისში სწორედ ეგ აზრი და მნიშვნელობა აქვს და არა მარტო თავაზა და ნახვა ერთმანეთისა შვილიშვილისაგან დიდედისაო. ასეთივე აზრი ჰქონდა იმის მისვლას ვენასა და რომში ასეთივე აზრი და მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ჰუმბერტისა და ფრანც-იოსების მოსვლას ბერლინში. ინგლისს-კი ცოტა შორს უჭირავს საქმე, მაგრამ ავსტრი-ვენგრია და იტალია-კი კარგა მაგრადა ჰყავს გერმანიას ჩათრეულიო. თავის სასარგებლო სამსახურისათვის გერმანია ჰპირდება ავსტრი-ვენგრიას, რომ გაგაძლიერებთ, გაგავრცელებთ, გაგაბატონებთ. იტალიასაც თითქმის ამ გვარისავე დაპირებით ათათბირებს: რაც შენი ყოფილა და დღეს საფრანგეთს უჭირავს, შენვე დაგიბრუნებთ, ხმელთა შუა ზღვაზე ძალას მოგცემთ. ესეა დღეს საქმე და ამას ყველაც კარგადა ჰხედავს, მაგრამ ეს ხომ ჯერ ფიქრია და სურვილი, რომელსაც განხორციელება უნდა, აღსრულება ეჭირვება აი აქ არის კიდეც გასაჭირი, აქ არის ჰაპან-წყვეტა და ის ფონი, რომელიც ერთგან არჩობს. ეს хочется и колется ო, რომ ამბობენ რუსები, სწორედ ასეთს ამბავზეა ზედ გამოჭრილი. ტყვა და ყაყმანი, სიძნელე და გაურკვევლობა პოლიტიკასა ამ გვარის გრძნობის ჰიდილისაგან არის. შევტოპო, ვაი თუ ვერ გავტოპო; არ შევტოპო კიდევ და, ვაი თუ ამდენის ცდით ნაპირას საფანელი შემომელიოს, ვაი თუ ლოდინით გული გადამელიოს და მისუსტებულმა მაშინ ვიშიშვლო ხმალი, როცა ველარც მაჯა გასჭრის და ვეღარც გონებაო. ამაშია, ამბობენ, დღეს დროშა პოლიტიკისა, იმისი ხლართი და კვანძიო.

ვისაც პოლიტიკის ყურის გდება უყვარს, იმას უნდა ადევნოს თვალი, როგორ გაიხსნება ეს ხლართი და კვანძი დრამისა. ცხადია, რომ ბევრი რამ ყოფილა ისეთი პოლიტიკაში, რაც იმისთანა მოხერხებულს კაცსაც-კი აფიქრებს და დიდს საგონებელში აგდებს, როგორიც არის ქარ-ცეცხლში გამოვლილი, ხლართ-კვანძების გამოხსნაში დაბერებული ვარცინის განდეგილი.

---

## წვრილი ამბები

ბერლინის ექიმს კეიგერტს შემდეგი საშუალება გამოუგონია ჭლექის მოსარჩენად. ეს ექიმი ჭლექს ასუნთქებინებს თურმე 160° C. გამთბარს ჰაერს ტუბერკულიოზის ბაცილების დასახოცავად. კეიგერტს უდგია ეს გამთბარი ჰაერი, თითონაც შეუსუნთქია და დაბეჯითებით ამბობს, რომ 180° C.-მდე გამთბარის ჰაერის შესუნთქვაც-კი არა სწყენს ავადმყოფსაო. მხოლოდ მაჯის ცემას უხშირებს და სუნთქვას უმცირებს, ხოლო ესეც გაუვლის ხოლმე ავადმყოფს, გაათავებს თუ არა გამთბარის ჰაერით

---

მეწისქვილეს მეტი გზა არა ჰქონდა, მოიტანა და ჩაუსხა დევს საჭმელი. საღამოზედ მოვიდნენ ყარაბ ოღლი და ტერტერა, ჰკითხეს მეწისქვილეს საჭმელი და მეწისქვილემ უთხრა:

— რა ვქნა, აიმ ორმოდგან ვეებერთელა რაღაცამ ამოიხედა, შემჭამა დამიქადა, ავიღე და მივეცი საჭმელი, რა მექნაო.

— ეჰ, ძმაო, აკი გითხარი მიღალატებ-მეთქიო, უთხრა ყარაბ ოღლიმ.

მეორე დღეს ბინაზედ დასტოვეს ტერტერა და ყარაბ-ოღლი და მეწისქვილე-კი წავიდნენ სანადიროდ. ტერტერასაც, მოამზადა საჭმელი, თუ არა, ისე ამოსძახა დევმა, როგორც მეწისქვილეს. ტერტერას, რასაკვირველია, უფრო გული გაუსკდა, მიიტანა საჭმელი და ჩაუსხა დევს. მოვიდნენ საღამოზედ დაღალულ-დაწყვეტილი მეწისქვილე და ყარაბ-ოღლი. ტერტერამაც იგივე უთხრა, რაც მეწისქვილემ.

— ეჰ, ძმაო, აკი გითხარი მიღალატებ-მეთქიო, უთხრა კიდევ ყარაბ-ოღლიმ.

მესამე დღეს ყარაბ-ოღლი დადგა ბინაზედ, მეწისქვილე და ტერტერა სანადიროდ წავიდნენ. მოამზადა ყარაბ-ოღლიმ საჭმელი თუ არა, ამოჰყო დევმა თავი და შემოუძახა რუხრუხით ყარაბ-ოღლის:

— შენ ეჰე! მოიტა ეგ საჭმელი, პირში ჩამომასხი, თორემ ამოვალ, შენც შეგჭამ და მაგ საჭმელსაცაო.

ყარაბ-ოღლიმ ამაზედ დაუძახა:

— ერთი პატარა კარგად დამენახვე, ვინა ხარ? დევმაც ამოიწია, სტყორცნა ყარაბ-ოღლიმ ისარი და დევი ჩაჩეხა ორმოში. მივიდა ორმოს პირზედ და ჩასძახა ქალს: ნუ გეშინიან, მე ვარ, ყარაბ-ოღლი, შენი გულისთვის მოვედი, ამხანაგები მომივლენ და ამოგიყვანო. ქალსაც ძალიან გაეხარდა, რასაკვირველია.

საღამოზედ მოვიდნენ ტერტერა და მეწისქვილე. ყარაბ-ოღლიმ კარგი საჭმელი დაახვედრა და ძალიან გაეხარდათ ძმობილებს. სამთავემ პური ჭამეს და შემდეგ უთხრა ყარაბ-ოღლიმ ძმობილებს:

— ძმებო, მე ამ ორმოში საქმე მაქვს, უნდა ჩავიდე და რამდენიც დავიძახო „დავიწვი“, იმდენი ძირს ჩამიშვით.

მართლაც, ჩაუშვეს ყარაბ ოღლი და, რამდენსაც იძახდა — დავიწვიო, იმდენს ძირს უშვებდნენ და ჩავიდა ძირამდე. შემდეგ უთხრა ქალს: მოიბი თოკი და ადი მაღლაო. არაო, ქალმა უთხრა: ჯერ შენ ადი, თორემ გიღალატებენ და აღარ აგიყვანენო. არ გაუგონა ქალს ყარაბ-ოღლიმ, როგორ მიღალატებენ, ჩემი გაფიცებული ძმები არიანო და ქალიც, მეტი გზა არა ჰქონდა, დაჰყაბულდა და მოიბა თოკი. ქალი ამოიყვანეს თუ არა, აღარ ჩაუშვეს თოკი ყარაბ-ოღლის ამოსაყვანად და ორმოში დასტოვეს ძმობილებმა. ქალი მობრუნდა და ჩასძახა ყარაბ-ოღლის:

— აკი გითხარი, გიღალატებენ-მეთქი! აჰა ეს გასაღებები (ჩაუგდო ქალმა), გააღე მანდ ოთახის კარი და ორი ცხვარი აბია, ერთი თეთრი, მეორე შავი. შავზედ შეჯდები, ქვესკნელს წაგიყვანს და თეთრზედ შეჯდები, ზევით ამოგიყვანს.

ყარაბ-ოღლიმ საჩქაროდ გაალო კარი და საჩქაროდ, მისდა საუბედუროდ, შავს ცხვარს მოაჯდა. ცხვარმა მართლა გააქანა ქვესკნელისაკენ. ყარაბ-ოღლი ქვესკნელში მივიდა ერთს ქალაქში და შევიდა ერთის ბებრის სახლში. ყარაბ-ოღლიმ უთხრა ბებერს: დედი, დედი, ერთი წყალი დამალევინეო. ბებერმა წუწუნით უთხრა: სადა გვაქვს, შვილო, წყალი. წყალი გველეშაპს უჭირავს და ასე ვიტანჯებით და ვინც შვილს მისცემს შესაჭმელად, იმას დაანებებს ხოლმე წყალს გველ-ვეშაპიო. აი დღესაც ჩვენმა ხელმწიფემ თავისი ქალი გაუგზავნა შესაჭმელად და ისე უნდა წამოიღოს წყალიო. ყარაბ-ოღლიმ სთხოვა ბებერს, თუ რამე იარაღი გაქვს, მათხოვეო. ბებერმა მიასწავლა: ემანდ, შვილო, თაროზედ ერთი ძველი ისარ-შვილდი გდია, სხვა არა მაქვს-რაო. ყარაბ-ოღლიმ ჩამოიღო ისარ-შვილდი, გახეხა, გაწმინდა, გამართა და უთხრა ბებერს: დედაშვილობას, ერთი მიმასწავლე, სად არის ის წყალი, სადაც გველ-ვეშაპი არის და ის ქალიცაო.

ბებერმა შეჰკივლა: უი, შვილო რად გინდა, შეგჭამს ის წყეული და აფსუსი ხარო. ყარაბ ოღლიმ არ დაიშალა, აიღო მშვილდისარი და გასწია წყლისკენ. მივიდა ქალთან და ქალმაც შემოუძახა ტირილით: ნუ მოსდიხარ აქ, თორემ შენც შეგჭამსო. ნუ გეშინიანო უთხრა ყარაბ ოღლიმ, მხოლოდ წუხანდელი უძილო ვარ და თუ დამეძინოს, გამაღვიძე, როცა მოდიოდესო. დაეძინა ყარაბ ოღლის და ენახოთ რომ, ის წყეული გველეშაპი მოდის. ქალმა გაღვიძება ვერ გაუბედა ყარაბ-ოღლის, მხოლოდ გადმოსცვივდა ცრემლი ქალს, დაეცა ლოყაზედ ყარაბ-ოღლის და დასწვა ლოყა. ყარაბ ოღლი წამოხტა საჩქაროდ, შეხედა, რომ მოდის ერთი ამბით გველეშაპი, მომართა ისარი სწრაფად, სტყორცნა და ჩაჩეხა წყალში. გადარჩენილი ქალი მშვიდობით გაგზავნა თავის დედ-მამას სახლში. ქალი მივიდა თუ არა შინ, დედ-მამამ შემოუტატანეს: წადი, წადი, თორემ გველეშაპი წყალს აღარ დაგვანებებსო. გახარებულმა ქალმა დედ-მამა დაარწმუნა, რომ საიდგანღაც ერთი ყმაწვილი კაცი მოვიდა და გველეშაპი იმან მოჰკლაო. რასაკვირველია, ხელმწიფეს დიდად გაეხარდა და უთხრა ქალს, ვერ იცნობ იმ ყმაწვილსაო? ვიცნობო, მიუგო ქალმა.

ხელმწიფემ გასცა ბძანება თავის სახელმწიფოში და დაჰპატიჟა ხალხი, რომ ამა-და-ამ დღეს შეიკრიბენით ჩემს სახლის დარბაზშიო. ხალხი შეიკრიბა და დასხა ყველა სუფრაზედ. ხელმწიფემ უბძანა თავის ქალს, აბა, შვილო, აიარ ჩამოიარე ხალხში და იცანი რომელი იყო ის ყმაწვილიო. ქალმა მართლა აათვალიერ-ჩაათვალიერა, იცნო კიდეც ყარაბ ოღლი, მაგრამ ყარაბ-ოღლის კალთაში პატარა კურდღლის ბაჭია ჰყავნდა გახვეული და რამდენიც ქალი დაუპირდაპირდებოდა სალამის მიცესამად, იმდენი კურდღლის ბაჭიას დაანახვებდა ხოლმე ყარაბ-ოღლი ქალს, ქალი შეშინდებოდა და დაბრუნდებოდა ხოლმე უკან. მამამ ჰკითხა ქალს, რა ჰქენი, შვილო, ვერ იცანი ის ყმაწვილიო? ბარემ ვიცანი, მამაო, მაგრამ კალთაში რაღაცა ჰყავს გახვეული და ვერ მიმიბედნიაო. წადი, შვილო, თვალები დახუჭე და კალთაში ჩაუვარდიო, უთხრა მამამ ქალს. მართლაც ქალი მივიდა, დახუჭა თვალები და ჩაუვარდა ყარაბ-ოღლის კალთაში. მაშინ ხელმწიფემ მიიხმო ყარაბ-ოღლი და ჰკითხა: შენ მოჰკალი მართლა გველეშაპიო? მე მოვკალიო, მიუგო ყარაბ-ოღლიმ. მაშ მთხოვე რაც გინდა, ჩემის ხელმწიფობის გარდა, და აგისრულებო. ყარაბ ოღლიმ მიუგო, მე არაფერს არა გთხოვ, თუ შეიძლება ზევცას ამიყვანეო. ხელმწიფემ უთხრა: მე არ შემიძლია შენი ზევცას აყვანა, მხოლოდ წადი ფასკუნჯთან, სთხოვე და ის აგიყვანს და რაც ხარჯი მოუნდება, სულ მე მოვუმზადებო.

(შემდეგი იქნება)

შესუნთქვასაო. კეიგერტი ამბობს, რომ ამ საშუალების ხმარებით ჭლექით ავადმყოფს ხველა უმცირდება, აგრეთვე ნახველიც ცოტა ამოსდის და შემდეგ სულ ერთიან უწყდებაო; ღამ-ღამობით ოფლი აღარა სდის, ლოგინზედა დგება და ციებაც აღარა აქვს ხოლმეო. რაც შეეხება ჭლექის ბაცილებს, ეს ბაცილები პირველში თითქო მრავლდებიან, შემდეგ ცოტ-ცოტა მცირდებიან და, დასასრულ, სულ ერთიან ჰქრებიან კიდეცაო. კეიგერტს ერთ-გვარი მანქანაც მოუგონია, რომ ავადმყოფს გამთბარი ჰაერი ასუნთქებინოს. ეს მანქანა ფრიად სადაა, სპირტის ლამპრით ითბება, ჰაერს ათბობს და ამ ჰაერს ყალიონისებურ ტარით ისუნთქავს ადამიანი.

— ამერიკაში ერთი საზოგადოებაა შედგენილი, რომელსაც აზრად აქვს ხელოვნებისა და მრეწველობის ახირებულს ნივთეულობას მოუყაროს თავი და გამოფენა გაჰმართოს. ეს საზოგადოება განსაკუთრებით დიდს ყურადღებას აქცევს დამნაშავეთა დასასჯელსა და საწამებელს იარაღებს. ბერლინის ჯალათისათვის მიუმართავს საზოგადოებას და დიდი ფული შეუძლევია, ოღონდ-კი ის ცული მოგვყიდეთ, რომელსაც დასჯის დროსა ჰხმარობთო. ამ ცულით ჯალათს ორმოც-და-თხუთმეტის კაცისათვის წაუგდებინებია თავი. დასჯილთა სახელები ზედ ცულზედა თურმე ამოჭრილი. ბერლინის ჯალათი ჯერ-ჯერობით ვერა ჰბედავს თურმე მოურიგდეს საზოგადოებას და ცული მიჰყიდოს.

— სპარსეთის შაჰს ევროპაში მიუყვანია თავისი მზარეული იმ აზრით, რომ გასტრონომიული ხელოვნება შეასწავლოს და ევროპიულ საჭმელების საკეთესოდ კეთება შეაძლებინოს. ეს მზარეული სპარსეთის მბრძანებლისა პარიჟის მესტუმრე პალიართან არის თურმე ამ ჟამად და ერთის წლის შემდეგ უნდა დაბრუნდეს სპარსეთში.

— ახირებული წიგნაკი გამოუცია ვიღაც სტინდეს დრეზდენში — „ხელოვნება თამბაქოს წევისა“. ამ წიგნში ავტორი ასწავლის მკითხველთ, თუ როგორ უნდა მოსწიოთ ხოლმე თამბაქო, რომ ისიამოვნოთ კიდეც და არც ჯანი დაიზიანოთო, მოხდენილ თამბაქოს წევა როგორ უნდაო, და დასახელებული აქვს იმის ცოდნაც, თუ როგორ უნდა გაარჩიოს ადამიანმა ცუდი სიგარა კარგისაგანაო. სტიპენდეს წიგნი ერთსა და იმავე დროს სამს ენაზედ გამოსულა — გერმანულსა, ფრანგულსა და ინგლისურზედ.

— მკათათვის მეორე ნახევარში პარიჟის გამოფენაზედ 2.030,814 ადამიანი უყოფილა და სულ-კი გამოფენის დაწყებიდგან მკათათვის დამლევამდე ფულით პარიჟის გამოფენა უნახავს 10.022,620 კაცს. 1878 წლის მსოფლიო გამოფენას ამავე ხნის განმავლობაში დასწრებია 5.166,533 კაცი, ესე იგი 4.906,067 კაცით ნაკლები.

— ამ წლის პირველ იანვრიდგან თიბათვის დამლევამდე გერმანიიდგან 50,996 კაცი გადასახლებულა სხვა-და-სხვა ქვეყანაში.

— ერთს უსაქმო წარმოდგენათა მოყვარეს გამოუანგარიშნია, რომ შეერთებული შტატები ყოველ წლივ თეატრზედ 400 მილიონს მანათსა ჰხარჯავენო.

— რამდენი სიტყვა დაეტევა ერთს საფოსტო ბარათზედ? ამის შესახებ გაჯიბრებულან ამას წინად ამერიკის სტენოგრაფები და ერთს ვირგინიელს სტენოგრაფს მოუგია ჯიბრი, რადგან ამ ბარათზედ 36,784 სიტყვა დაუტევია.

# დეპეშა

4 აგვისტო

ათინა. კრიტის დღევანდელს მდგომარეობას შაქირ-ფაშა ბრალად სდებს ქრისტიანებს.

სტოკჰოლმი. მომავალს ორიენტალისტების კონგრესზე მეფემ მოიწვია რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს აზიურის დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი ზინოვიევი.

ბერლინი. დღეს, საღამოს ცხრა საათზე, ავსტრიის იმპერატორი წავიდა იშლში. იმპერატორმა ვილჰელმმა გააცილა ფრანც-იოსები რკინის გზის სადგურამდე. აქ იმპერატორები ერთმანეთს გამოემშვიდობნენ. ერცჰერცოგი, ფრანც-ფერდინანდი და ამალის წევრნი ნახევარ საათს შემდეგ წავიდნენ ზოგი პრაგას და ზოგი ვენას.

სტამბოლი. კრიტში გამოცხადებულია სამხედრო მდგომარეობა.

5 აგვისტო

პეტერბურგი. მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი ზღვის მონავრებიდგან დაბრუნდნენ პეტერბურგს.

კასპიის ბანკის ხუთი მილიონი კაპიტალი შესდგება ორის გამოცემის აქციებისაგან, თითო 250 მანეთი. ბანკის მართველობა მოსკოვში იქნება, ხოლო იმისი განყოფილებანი — ბაქოსა და ბათუმში. ბანკს უფლება აქვს გამართოს თავისი განყოფილებანი სხვა ქალაქებშიაც ფინანსთა სამინისტროს ნება-რთვით. წესდებაში გარკვევით მოხსენებულია, რომ ბანკს ნამდვილი კომერციულის ხასიათისა, და ბანკს საგნად აქვს დაეხმაროს ნავთის წარმოებას კავკასიაში.

პეტერბურგის ბირჟა, 4 მარიამობ.

| | მყიდველნი | | გამყიდველნი | | გაყიდულნი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — | „ | — | „ | 7 | 66 |
| ტამოჟნის კუპონები | 153½ | | — | „ | — | „ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — | „ | 1 | 12 | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 264 | | — | „ | — | „ |
| —მეორისა | 246½ | | — | „ | — | „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 97½ | | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა | 97½ | | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | 83½ | | — | „ | — | „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შევლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდან: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.


# განცხადებანი

დაიბეჭდა ახალი წიგნი

პატარა მოთხრობა

თხზულება თ. კ—ძისა, გამოცემული კ. თავართქილაძისაგან.

ფასი სამი შაური

ისყიდება ტფილისში: ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და «წერა-კითხვის საზოგადოების» წიგნთ-საწყობში. ოზურგეთში თითონ გამომცემლისას. (3—3)

ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა» | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი | 1 | |
| საყმაწვილო ამბები | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა | „ | 80 |
| სურამის ციხე | „ | 20 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა | „ | 40 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა | „ | 50 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა | „ | 25 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა | „ | 40 |
| დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ | „ | 15 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე კპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის.

წელიწადი მერვე.

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1889—90 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ; ახლად შემოსასვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს ტფილისს. (12—5)

ამ წლის 10 თებერვლიდამ გოლოვინის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლში, „კრუჟოკის“ გვერდზე, გამართულია მდიდრულად და მშვენივრად მოწყობილი ნომრები

„დ ა ნ ი ა“,

რომელიც ყველაფრით მოხერხებულია.

ზოგიერთი ოთახები ისეა გამართული, რომ ცოლ-შვილით შეუძლიან კაცს ცხოვრება.

ფასი ათ შაურიდამ ხუთ მანეთამდეა. თვეობით ვინც იქირავებს, ბევრი დაეთმობა.

საჭმელ-სასმელი შინაური, სუფთა და გემრიელი.

კანტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურენი თავაზითა და პატივისცემით მოეკიდებიან ჩვენს ნომრებში მდგომს და მარჯვედა და სწრაფად შეასრულებენ ყოველს იმის მოთხოვნილებას. (30—19)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით | 10 მ. — კ | 6 | თთვით | 6 მ. — კ |
| 11 | „ | 9 „ 50 „ | 5 | „ | 5 „ 25 „ |
| 10 | „ | 8 „ 75 „ | 4 | „ | 4 „ 75 „ |
| 9 | „ | 8 „ — „ | 3 | „ | 3 „ 50 „ |
| 8 | „ | 7 „ 25 „ | 2 | „ | 2 „ 50 „ |
| 7 | „ | 6 „ 50 „ | 1 | „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე — 16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმ ის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.


Доз. ценз. Тифлисъ 5-го Август 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე